ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13252244**

თარიღი:**12/08/2025**

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ზე მეტი ფასთა კლებით გამოცხადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ზე მეტი ფასთა კლებით გამოცხადებაზე, კერძოდ:

    ა) სპეციალიზებული ISUZU, მოდელი NQR71PL, სახელმწიფო ნომრით QV-377-VQ, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) NSBNFR71PES307390, გამოშვების წელი 2014, ფერი თეთრი.

2. ყოველი განმეორებითი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში ფასთა კლება მოხდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის არ უმეტეს 10% -იანი ნამატით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი